

ჩვენი გიმნაზია

სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქიის და წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიის ყოველთვიური გაზეთი №10 ოქტომბერი 2016 წ.

გაზეთი გამოდის გიმნაზიის დირექტორის სტეფანწმინდისა და ხევის მთავარეპისკოპოს იეგუდიელის ლოცვა-კურთხევით.

6(9) ოქტომბერი. წმიდა და ყოვლადქებული მოციქული თომა

წმიდა თომა მოციქული, მაცხოვრის ათორმეტ მოწაფეთაგანი, გალილეის ქალაქ პანდასაში დაიბადა და მეთევზეობით ირჩენდა თავს. როცა იესო ქრისტეს ქადაგება მოისმინა, თომამ ყველაფრი დაუტევა და სიხარულით შეუდგა ღვთაებრივ მოძღვარს.

წმიდა წერილი გვამცნობს, რომ თომა არ ერწმუნა სხვა მოციქულთა მონათხრობს იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის შესახებ: „უკეთუ არა ვიხილო ჭელთა მისთა სახე იგი სამშჭუალთაჲ და... დავსდვა ჭელი ჩემი გუერდსა მისსა, არასადა მრწმენეს“. აღდგომიდან მერვე დღეს მაცხოვარი თომასაც გამოეცხადა და მიმართა: „მოყვნენ თითნი შენნი და იხილენ...“ „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!“ – აღმოხდა მოციქულს. ამის შემდეგ წმიდა თომა, ღვთის მადლით, აღმატებული ახოვნებითა და მოშურნეობით აღივსო და გაბედულად ქადაგებდა ღვთის სიტყვას ველურ ტომებს შორის. საეკლესიო გადმოცემის მიხედვით, უფლის რჩეულმა ღვთის სიტყვის ქადაგებით განანათლა მთელი პალესტინა, მესოპოტამია, პართია, ეთიოპია...

ინდოეთში, ქალაქ მელიაპოსის მმართველის მეუღლისა და ძის ქრისტინაობაზე მოქცევისათვის იგი შეიპყრეს და სასტიკი წამების შემდეგ ბოლოს შუბით განგმირეს. წმიდანის უხრწნელი ნაწილები ინახება ინდოეთში, უნგრეთში, ათონის მთაზე, თავის ქალა კი – საქართველოში, თბილისის სიონის საკათედრო ტაძარშია დაბრძანებული.

18(31) ოქტომბერი. წმიდა მოციქული და მახარებელი ლუკა

წმიდა მოციქული და მახარებელი ლუკა სირიის ანტიოქიაში დაიბადა. იგი განათლებულ ბერძენთა წრეს ეკუთვნოდა და პროფესიით იყო ექიმი. ქრისტეს შესახებ რომ ესმა, ლუკა პალესტინაში ჩავიდა და აქ თავად უფლისაგან ეზიარა მაცხოვნებელ სწავლებას. ჯერ კიდევ მაცხოვრის ამქვეყნიური ცხოვრების ჟამს წმიდა ლუკა, როგორც ერთი სამოცდაათ მოციქულთაგანი, უფლის მიერ ცათა სასუფევლის შესახებ პირველი ქადაგებისათვის გაიგზავნა. აღდგომის შემდეგ უფალი იესო ქრისტე ემაუსში მიმავალ ლუკას და კლეოპას გამოეცხადა.



ლუკა თან გაჰყვა წმიდა მოციქულ პავლეს მეორე მისიონერულ მოგზაურობაში, რის შემდეგაც ისინი ერთმანეთს არ განშორებიან. უფლის რჩეული პავლეს გვერდით დარჩა მაშინაც, როცა იგი ყველა თანაშემწემ მიატოვა. მოციქულთათვის მოწამეობრივი აღსასრულის შემდეგ წმიდა ლუკამ რომი დატოვა და ქადაგებით მოიარა აქაია, ლიბია, ეგვიპტე და თებაიდა. ამქვეყნიური ცხოვრება მან მოწამეობრივი ღვაწლით დაასრულა ქალაქ თებეში.

გადმოცემის მიხედვით, წმიდა ლუკა ღვთისმშობლის პირველი ხატების დამწერიცაა. გადმოცემა აწყურის ღვთისმშობლის ხატსაც ლუკა მახარებლის სახელთან აკავშირებს. წმიდა მოციქულს ეკუთვნის თავთა მოციქულთა – პეტრეს და პავლეს ხატებიც.

სახარება ლუკას 62-63 წლებში პავლე მოციქულის ხელმძღვანელობით დაუწერია რომში.

ლუკა მახარებელს ეკუთვნის „საქმე მოციქულთა“. იგი მოგვითხრობს წმიდა მოციქულთა შრომასა და ღვაწლზე მაცხოვრის ამაღლების შემდეგ. როგორც უდიდეს საეკლესიო მოვლენას, თხრობისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოციქულთა კრებას, რომელმაც დოგმატური საფუძველი დაუდო იუდაიზმისაგან ქრისტიანობის გამიჯვნას და მსოფლიოში მისი დამოუკიდებელი გავრცელების საწინდარი შეიქნა.

26(9–10). დღესასწაული ივერიის ღვთისმშობლის ხატისა

1989 წლის 26 სექტემბერს ათონის ივერთა მონასტრიდან თბილისში ჩამოასვენეს ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის, პორტაიტისას ასლი, რომელიც წმინდა მთის ბერებმა შეასრულეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარ-

გთხოვთ, გაუფრთხილდეთ გაზეთს მასში დაბეჭდილი ტექსტის და ფოტომასალის გამო.

ქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით და ქართველი ერისადმი სიყვარულისა და მადლიერების გამოსახატავად.

მთელი საქართველო ზეიმობდა ამ დღეს. ერის იმდროინდელ გაჭირვებაში ივერიის მფარველი ხატის ჩამობრძანება ყველამ ზეციურ კურთხევად აღიქვა და ეს დღე საქართველოს ეკლესიის ისტორიაში შევიდა, როგორც დღესასწაული.

ხატი ასვენია თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძარში.

7(20) ოქტომბერი. ღირსი იოსებ ხუცესი, მოხევე, საკვვირველთმოქმედი (+1763)



წმ. იოსებ ხუცესის შესახებ ძალზე მწირი ცნობები მოგვეპოვება. ვიცით, რომ ის იყო მოხევე და იქვე მსახურობდა მღვდლად. მოხევეები – „კაცნი მბრძოლნი, ძლიერნი, ახოვანნი, ჰაეროვანნი“, ყოველთვის გამოირჩეოდნენ სარწმუნოებრივი შემართებით. იქაური ეკლესია-მონასტრები გვაცვიფრებენ თავიანთი სილამაზითა და მიუწვდომლობით. იქ, თითქოს საგანგებოდ აშენებდნენ ეკლესიებს ისეთი ადგილებში, სადაც მისვლაც კი თითქმის აღმსარებლობას უტოლდება. ხევის მშვენებასა და სიმბოლოს წარმოადგენს „მარადის ყინულით შეკვერცხილი“ მყინვარი, რომლის კალთებზე არის აშენებული სამების მონასტერი, „შუენიერ ნაშენი შუენიერს ადგილას“, სადაც ერთ დროს წმ. ნინოს ჯვარი ესვენა (ახლა ის სიონის საპატრიარქო ტაძარში ასვენია, კანკელის მარცხნივ).

მყინვარზე, ყინულებში, კაცთაგან მიუვალ ადგილას გამოკვეთილი ყოფილა გამოქვაბული, რომელსაც ბეთლემს უწოდებენ. გამოქვაბულში შესვლა მხოლოდ იქიდან ჩამოშვებული ჯაჭვის საშუალებით შეიძლებოდა. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, იქ მრავალი საკვირველება ინახებოდა: „იტყუენ უფლისა აკვანსა მუნ და აბრაამის კარავსა მდგომსა უსუეტოდ, უსაბლოდ და სხვათა საკჳრველთა“.

დავით ბატონიშვილის ცნობით, იოსებ მოხევე „იყო ფრიად სიწმიდის მოყვარე და მემარხულე, რომელ ყოველგან განითქვა სათნოება ამისი. ეს ნებითა ღმრთისაითა აღვიდა მყინვარსა მთასა შინა, კაცთაგან შეუვალსა და იხილა მუნ კარავი და აკვანი მამამთავრისა, რომელ ჯერთცა არავინ აღსრულ არს მთასა მას და მოართო მეფეს ირაკლის ნაჭერი კარვისა მას. და ესეცა მიიწია საზომსა სასწაულმოქმედებისასა და ესრეთ უფლისად დაიძინა“.

წმ. იოსები აღესრულა 1763 წელს.

1(14) ოქტომბერი
დღესასწაული კვართისა და საუფლოისა და სვეტისა ღვთივბრწყინვალისა და მირონმდინარისა; მცხეთობა – სვეტიცხოვლობა. მოციქულთასწორნი: მეფე მირიანი და დედოფალი ნანა, წმინდა სიდონია და აბიათარ მღვდელი (IV ს.)

ხატვა ჩემი ჰობია

გიმნაზიის მოსწავლე, პატარა მხატვარი მარიამ სუჯაშვილი უკვე სერიოზულ ნაბიჯებს დგამს ხატვასა და ფერწერაში. ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ხშირად იბეჭდება მისი ნახატები და დიდ მოწონებას იმსახურებს. გთავაზობთ ინტერვიუს მარიამ სუჯაშვილთან.

კითხვები მოამზადა VIII კლასის მოსწავლემ ლუკა წიკლაურმა.

1) რამ განაპირობა შენი დაინტერესება ხატვით?

ხატვა რომ დავიწყე, ძალიან პატარა ვიყავი და არ მახსოვს.

2) თუ განიცდი ვინმეს გავლენას მხატვრობაში?

ვინმეს გავლენას არა, მაგრამ მივყარს იმპრესიონისტი მხატვრები, მაგალითად, კლოდ მონე, ედგარ მანე, ვან გოგი...

3) როგორ ფიქრობ, რა შეიძლება გააკეთო შენ ან უფროსებმა, რომ შენი ნიჭი კიდევ უფრო განვითარდეს?

მთავარია, გქონდეს შინაგანი მოთხოვნილება ხატვის მიმართ და, რა თქმა უნდა, საჭიროა ბევრი შრომა, უფროსებმა კი სტიმული უნდა მომცენ.

4) როგორ ფიქრობ, მხატვრობის ნიჭი ბუნებისაგან გაქვს მომადლებული, თუ შენ განავითარე ის?

ალბათ, ძირითადად, გენეტიკურად მაქვს, როგორც მეუბნებიან. ოჯახში ყველას უყვარს ხატვა.

5) რა გავლენას ახდენს შენზე გიმნაზიაში სწავლა მხატვრობასთან დაკავშირებით?

გიმნაზიაში სწავლა მხატვრობასთან დაკავშირებით ჩემზე ძალიან დიდ გავლენას ახდენს. ჩვენი მეუფე იეგუდიელი და მასწავლებლებიც დიდ ყურადღებას აქცევენ გიმნაზიაში მოსწავლეთა მხატვრობით დაინტერესებას. დავყავართ სამხატვრო გალერეებში, სხვადასხვა კონკურსებზე. დიდი სტიმულის მომცემი იყო საპატრიარქოში გამართული კონკურსი ბიბლიურ თემაზე, რომელშიც მივიღე მონაწილეობა და გავიმარჯვე.

6) თუ გეხმარება გიმნაზიაში სწავლა ხატვის კიდევ უფრო სრულყოფაში?

რა თქმა უნდა, გიმნაზიაში სწავლა მეხმარება ხატვის კიდევ უფრო სრულყოფაში. ჩემი ნახატები ხშირად იბეჭდება გიმნაზიის გაზეთის ფურცლებზე, ე. ი. ჩემს ნახატებს ეცნობა ფართო საზოგადოება. დიდი მადლობელი ვარ ლონდა მასწავლებლის, რომელიც გვეხმარება ტექნიკის დახვეწაში და გვამარაგებს საღებავებითა და ხელსაწყოებით.

7) თუ გიფიქრია პერსონალური გამოფენის მოწყობაზე?

სამომავლოდ, რა თქმა უნდა, ეს ჩემი ოცნებაა, მაგრამ ამაზე ფიქრი ჯერ ალბათ ნაადრევია.

გისურვებ წარმატებებს.

გიმნაზიაში ახალი სასწავლო წელი დაიწყო

გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას

ახალი სასწავლო წლის დაწყებას წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზია წელსაც მომზადებული ორგანიზებულობით შეხვდა.

სასწავლო კლასები სრულ მზადყოფნაშია. რამდენიმე კლასს ჩაუტარდა მიმდინარე რემონტი და გამოიცვალა კლასის კარებები.

წელს გიმნაზიის პირველ კლასში 9 მოსწავლე ჩაირიცხა. მათ უფასოდ დაურიგდათ წიგნები და სასწავლო ნივთები. პატარები სიმღერითა და ლექსებით შეეგებნენ ახალ სასწავლო წელს.

გიმნაზიის დირექტორის, მეუფე იეგუდიელის ლოცვა-კურთხევით გიმნაზიის ოცდაათი წარჩინებული მოსწავლე დაჯილდოვდა სიგელებით. ესენია: II კლასის მოსწავლეები: ქირიკაშვილი სანდრო, პაპიაშვილი ნიკოლოზ, მარსაგიშვილი ნატო. III კლასელები: ფიცხელაური დავითი, ღუდუშაური ვაჟა, გელაძე გაბრიელ, ქუშაშვილი მაგდა და სუჯაშვილი ლუკა. IV კლასი – პაპიაშვილი მარიამ, ბედოშვილი გიორგი, ფიცხელაური გიორგი, ფიცხელაური ლექსო. ქუშაშვილი ლუკა, ჩქარეული ქეთევან, მარსაგიშვილი ედუარდ, ოდიშვილი ლაშა-გიორგი და ვალიშვილი დავით. V კლასის მოსწავლეები: ბურდული ლალი, ქუშაშვილი ნინო, გელაშვილი საბა, მალასიძე ლუკა. VI კლასი – ქუშაშვილი ნიკოლოზ, გელაძე სალომე. VII კლასი – ქუშაშვილი თამუნა, გელაძე ანა. VIII კლასის მოსწავლეები: მაისურაძე ლუკა, სუჯაშვილი მარიამ. IX კლასი: ბუჩუკური გიორგი, ოდიშვილი დავით და XII კლასელი წიკლაური ნატო. ვუსურვოთ მათ კვლავაც შემდგომი წარმატებებით ესახელებინოთ გიმნაზია.

აქვე მინდა გიმნაზიის სახელით უმაღლეს სასწავლებლებში მოწყობა მივულოცო ჩვენი გიმნაზიის კურსდამთავრებულებს: ალიბეგაშვილ თეას, დავითაშვილ ლუკას, ხუციშვილ უჩას, ხვედელიძე გოგიტას და ფიცხეაურ შალვას. კვლავაც წარმატებებით გველოთ ცხოვრების გზაზე.

ეთერ პაპიაშვილი.
დირექტორის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში

გიმნაზიის პირველი კლასის მოსწავლეები მეუფე იეგუდილთანა და კლასის მასწავლებელ ხათუნა ქავთარაშვილთან ერთად

ახალი სასწავლო წელი ჩემთვის სიახლეებით დაიწყო

ახალი სასწავლო წელი ჩემთვის სიახლეებით დაიწყო. თბილისის საჯარო სკოლიდან სასწავლებლად გადმოვედი წმ. ილია მართლის სახელობის გიმნაზიაში. გიმნაზიაში შემოსვლისთანავე მივხვდი, რომ ჩემთვის სასურველ გარემოში მოვხვდი. კანდელებითა და სანთლებით განათებულ დარბაზში ისმოდა იღუმენი ეგნატეს ლოცვა და გიმნაზიის მგალობელი გუნდის მიერ შესრულებული საგალობლები. მომეწონა ჩემი საკლასო ოთახი, მასწავლებლები და კლასელები. ყოველთვის მინდოდა მეუფე იეგუდიელის ლოცვა-კურთხევა მიმეღო და ახლა ეს შესაძლებლობა ხშირად მომეცემა. ერთი თვეა, რაც სწავლა დაიწყო, მაგრამ ვგრძნობ განსხვავებას სწავლის ხარისხის მხრივაც. მასწავლებლები უფრო ყურადღებიანი და მომთხოვნები არიან. ყურადღება ექცევა ბავშვების სულიერ აღზრდას, გვაქვს სამლოცველო ოთახი. აუცილებლად მივიღებ მონაწილეობას გიმნაზიაში ჩამოყალიბებულ წრეობრივ მუშაობაში.

მინდა, რომ კარგი სწავლით ჩემზე დაკისრებული მოვალეობა მოვიხადო და ჩემი რაიონი ვასახელო.

მარიამ ხეთაგური.
გიმნაზიის VI კლასის მოსწავლე

დაუვიწყარი ზაფხულის არდადეგები

ზაფხულის არდადეგები მეუფის კურთხევითა და გიმნაზიის გადაწყვეტილებით 2 კვირა ქობულეთში გავატარე. იქ გატარებული დრო დაუვიწყარ მოგონებად დარჩება ჩემს ცხოვრებაში. ამისათვის კი დიდი მადლობელი ვარ მეუფე იეგუდიელისა და მამა ნიკოლოზის.

1 აგვისტოს წავედით ქობულეთში. ეს სიახლე იყო ჩემთვის. ასეთ დიდსა და დამღლელ გზაზე პირველად ვიყავი. ველოდებოდი ქოქოსისა და პალმების სანაპიროს, მაგრამ ეს არ დამხვდა იქ, სამაგიეროდ სიმწვანესა და ყვავილებში იყო ჩაფლული გარემო. ქუჩებში საოცარი სისუფთავე, უამრავი ტურისტი და მომღიმარე სახეები მიზიდავდა. კარგი იქნებოდა, ჩვენი რაიონიც ასეთი სუფთა იყოს და ქუჩების სიმწვანესა და ყვავილნარის გაშენებაზე ვიფიქროთ.

ზღვა მარტო ფილმებში მქონდა ნანახი. ჩემთვის ყველაფერი უცნაური იყო, მაგრამ მალევე შევეჩვიე. პანსიონში მასწავლებლებიც გვყავდა, რომლებიც აკონტროლებდნენ ჩვენს ჯანმრთელობას, ჰიგიენას და კვებას. დღეში ორჯერ გავყავდით ზღვაზე. კარგი იყო ზღვაში ბანაობა და გართობა, დავყავდით ექსკურსიებზე. ძალიან მომეწონა შადრევნები, საოცრად ლამაზი გასართობი ადგილი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, დრომ სწრაფად გაირბინა და დადგა ჩვენი უკან დაბრუნების დრო. 14 სექტემბერს გაკაჟებულები და შთაბეჭდილებებით სავსენი დავუბრუნდით მშობლიურ რაიონს და დავიწყე სწავლისათვის მზადება. მალევე დავუბრუნდით ჩვენს საყვარელ გიმნაზიასაც. ახლა კი ვაპირებ, რომ კარგად ვისწავლო, გავამართლო გიმნაზიის მესვეურების ნდობა და გავახარო როგორც მასწავლებლები, ასევე ჩემი ოჯახი.

ანა გელაძე. გიმნაზიის VII კლასის მოსწავლე

რას გვეტყვით, მამაო?

მიცვალებულთა შესახებ (გაგრძელება)

შეიძლება თუ არა აღდგომის დღეებში მიცვალებულის სარეცელთან ფსალმუნების კითხვა?

საეკლესიო ტიპიკონის მიხედვით, ამ კვირაში არ იკითხება ფსალმუნები. ყველაფერი სააღდგომო საგალობლებით იცვლება, მონასტრებში, სადაც ფსალმუნთა შეუწყვეტელი კითხვა მიმდინარეობს, თომას კვირაში ამგვარი მსახურება სრულიად დაიტევება. შესაბამისად, ამ პერიოდში მიცვალებულის სარეცელთან ფსალმუნის კითხვა შეგვიძლია შევცვალოთ აღდგომის კანონით, ან აღდგომის საგალობლების მრავალგზის განმეორებით. ღვთისმსახურის კურთხევით დაშვებულია სახარების კითხვა.

რამდენად საჭიროა გარდაცვალების დღის აღნიშნვა?

ამ დღეს აღვავლენთ გარდაცვლილის სახელზე პანაშვიდს და ვლოცულობთ, გავცემთ მოწყალებას. ახლობლებისაგან გარდაცვლილის გახსენება მისთვის ლოცვის გაგრძელებაა. ისინი ევედრებიან უფალს მისი სულისთვის, ხოლო უფალი ბრძანებს: სადაც ერთი ან ორი შეიკრიბოს ჩემი სახელით, მეც მათთან ვიქნებიო.

გთხოვთ, ამიხსნათ, სად იმყოფება იმ ადამიანის სული, რომელიც გონზე არ არის, რომელი ლოცვები წავუკითხოთ ამ დროს?

იმ ადამიანის სული, რომელიც გონზე არ არის, იმყოფება ადამიანის სხეულშივე. სულის გასვლა სხეულიდან ნიშნავს ადამიანის გარდაცვალებას. განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც სულს უჭირს სხეულიდან გასვლა და ადამიანი იტანჯება, მოძღვარი კითხულობს სპეციალურ ლოცვას. ჭირისუფალს მხოლოდ ის ევალება, პირნათლად მოუაროს ავადმყოფს და, როგორც ქრისტიანს შეეფერება, ჩვეულებრივი ყოველდღიური ლოცვებით შეეწიოს.

რა მანძილით შეიძლება იყოს დაშორებული სასაფლაოები დასახლებული ადგილებიდან?

ქრისტიანული ტრადიციით, სოფელს ან რომელიმე დასახლებულ ადგილს საერთო სასაფლაო უნდა ჰქონდეს. სასურველია, სასაფლაოზე იყოს ეკლესია, ხოლო მის სიახლოვე-სიშორეს არანაირი განსაკუთრებული მნიშვნელობა არ აქვს. სიკვდილ-სიცოცხლე ხომ მუდამ ერთმანეთის გვერდით დგანან.

რამდენად გამართლებულია მართლმადიდებლის საფლავის გადახურვა, შუქის გაყვანა, ტელევიზორის დადგმა და სხვა?

ასეთი საქციელი ქრისტიანულ აზროვნებას არ ადასტურებს. საფლავი ისეთივე სადა უნდა იყოს, როგორც ქრისტიანის ცხოვრების წესი. გადავხედოთ, რა უბრალოა ჩვენი მეფეთა საფლავები. რა თანხაც უნდა დაიხარჯოს საფლავზე აკლდამის მოწყობაში, ან ტელევიზორის შეძენაში, ეს თანხა ქვრივ-ობოლს რომ მივცეთ, ასჯერ და ათასჯერ მეტად წაადგება მიცვალებულის სულსაც და ჭირისუფალსაც. საფლავზე უნდა იდოს მხოლოდ ქვა და ჯვარი, რომელიც ქრისტიანის რწმენის მდუმარე აღიარებაა.

ჩემს ბავშვობაში აუცილებელი იყო მიცვალებულის განბანვა. ეს ქრისტიანული წესია?

მიცვალებულის განბანვა ძველი ბიბლიური წესია და ქრისტიანობამაც მიიღო. განბანვა სიმბოლურად უფალთან სუფთად წარდგომას უკავშირდება.

გაგრძელება შემდეგ ნომერში.

იბეჭდება 2005 წლის „კვირის პალიტრის“ მიერ გამოცემული „რას გვეტყვით, მამაო“ კითხვების კრებულიდან.

რედაქტორი მანონი გოგიაშვილი	სარედაქციო კოლეგია: არქიმანდრიტი ნიკოლოზ ღლონტი, ციცინო ღუდუშაური, ნინო თურქიაშვილი, მარიამ წიკლაური, თემო ბუჩუკური.	მის. სტეფანწმინდის წმ. ილია მართლის სახ. გიმნაზია– პანსიონი